

ეთიკის კომისიის
გადაწყვეტილება
დისციპლინური დევნის აღმდებაზე უარის თქმის თაობაზე

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ია გაბედავა – კოლეგიის თავმჯდომარე
არჩილ ჩოფიკაშვილი – კოლეგიის წევრი
ბესარიონ ბოხაშვილი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – ლ. წ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 24.01.2019

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 008/19

ადვოკატი, რომლის მიმართაც არის საჩივარი შემოტანილი – ადვოკატი მ. ლ. /სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ მ. ლ.-სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. საჩივრის ავტორის პოზიცია:

- 1.1 2019 წლის 24 იანვარს ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ლ. წ.-მ და მოითხოვა ადვოკატ მ. ლ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.
- 1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2014 წ. 14 დეკემბერს, ქ.თბილისში უნივერსიტეტის ქუჩაზე მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევაზე დაწყებულ სისხლის სამართლის საქმეზე საკუთარი უფლებების დასაცავად მიმართა ადვოკატ მ. ლ.-ს. საჩივრის ავტორის განმარტებით, საქმის მთავარ ნივთიერ მტკიცებულებას წარმოადგენდა ავტომობილი „სუბარუ ფორესტერი“ სახელმწიფო ნომრით N, რომელშიც ორი მსხვერპლი იმყოფებოდა. აღნიშნული ავტომობილი გაიყვანეს საჯარიმოდან და გაანადგურეს. ასევე, საქმეში არ არის შემთხვევის ამსახველი ფოტოები და სქემები. გამოძიების ეტაპზე მოხდა გზის გეგმის არასწორად შედგენა, რის გამოც სამხარაულის ექსპერტიზამ გასცა ლ. წ.-სათვის საზიანო დასკვნა. საჩივრის ავტორმა 2017 წლის 23 თებერვალს მიიღო ექსპერტ-კრიმინალისტ გ. გ.-ს დასკვნა, რომლითაც დადასტურდა გზის

პარამეტრების შეცვლის ფაქტი. კერძოდ, დადგინდა, რომ შპს „უ. პ.“-ს მიერ შედგენილ ტოპო გეგმაზე არსებული ზომები არ შეესაბამებოდა 2014 წლის 14 დეკემბერს სს ნ-- საქმეზე საქართველოს შს სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა საგამომიებო სამსახურის გამომმიებლის მიერ შედგენილ შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმში მითითებულ პარამეტრებსა და მასთან თანდართულ სქემაზე არსებულ პარამეტრებს. საჩივრის ავტორის განმარტებით, დასკვნის თანახმად, ლ. წ.-ის გზაზე მთავარმა გამყოფმა ზოლმა გადაიწია 2 (ორი) მეტრით, მის საზიანოდ. შედეგად, გადაიწია ნაკაწრებმა და ჩამონაყარმა, რის საფუძველზეც უნდა დადგენილიყო შეჯახების წერტილი. ლ. წ.-ს მიაჩნია, რომ ადვოკატ მ. ლ.-ის ბრალია მისი დაკავება, რადგან ვერ შეამჩნია მტკიცებულებების ფალსიფიკაცია და ამგვარად არაკვალიფიურად მოემსახურა მას.

2. ადვოკატის პოზიცია:

- 2.1 ადვოკატმა მ. ლ.-მ ეთიკის კომისიაში წერილობითი ახსნა-განმარტება წარმოადგინა 2019 წლის 8 თებერვალს, ხოლო 2019 წლის 11 თებერვალს მონაწილეობა მიიღო ეთიკის კომისიის მიერ საქმის ზეპირ განხილვაში. ადვოკატის განმარტებით, ლ. წ.-ს იცავდა 2014-2015 წლებში გამომიების პროცესში. ლ. წ.-სთან ადვოკატი დაკავშირა ლ.-ის დეიდამ, რომელიც ასევე ადვოკატია, თუმცა მხოლოდ სამოქალაქო სამართლის საქმეებზე მუშაობს. ლ.-ის მეუღლემ, ნ. ბ.-მ, ადვოკატს პირველ შეხვედრაზე უთხრა, რომ ავტოსაგზაო შემთხვევაში ლ. წ. წარმოადგენდა დაზარალებულს. პირველი საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების დადებისას ლ. წ.-ს ჰქონდა მოწმის პროცესუალური სტატუსი, თუმცა მხარეები შეთანხმდნენ, რომ თუ მისი მდგომარეობა გართულდებოდა, ისინი ახალ პირობებზე შეთანხმებოდნენ.
- 2.2 ადვოკატის განმარტებით, იგი ხელშეკრულების დადების დღიდან აქტიურად ჩაერთო გამომიებაში. კლიენტთან პირველი შეხვედრა შედგა საავადმყოფოში. შემთხვევიდან რამოდენიმე დღის შემდეგ, ლ. წ.-ს უკვე ჩატარებული ჰქონდა სამედიცინო დახმარება და მკურნალობდა სტაციონარში, სადაც მას პოლიციის თანამშრომელი დარაჯობდა. ლ. წ.-ის აზრით, იგი იყო დაზარალებული, მომხდარში თავს დამნაშავედ არ ცნობდა, პოლიციის თანამშრომლის მორიგეობა მიუთითებდა მის უკანონო და ნაადრევ დაკავებაზე.
- 2.3 ადვოკატის განმარტებით, ლ. წ.-სთან გასაუბრების შემდგომ შეხვდა გამომმიებელ რ. ა.-ს სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით. რამოდენიმე დღეში ლ. წ.-ს მოუქსნეს პოლიციის მორიგეობა, გამოწერეს საავადმყოფოდან და მკურნალობას გადიოდა სახლის პირობებში.
- 2.4 ადვოკატის განმარტებით, ამ პერიოდში შეიცვალა მისი კლიენტის პროცესუალური სტატუსი და თავად ლ. წ.-სთან გააფორმა ადვოკატმა ახალი საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება კვლავ მხოლოდ გამომიების პროცესში დაცვაზე. ვინაიდან ლ. წ.-ს ჰქონდა ფეხის ტრამვა, მას ხშირად თავად ადვოკატი სტუმრობდა სახლში სამართლებრივი საკითხების შესათანხმებლად

და ურთიერთობდა გამოძიებასთან, პროკურატურასთან. დაცვას ადვოკატი ახორციელებდა მხოლოდ მისი დაცვის ქვეშ მყოფი ლ. წ.-ის პოზიციის გათვალისწინებით და მითითებით.

- 2.5 ადვოკატის განმარტებით, ლ. წ. არ აღიარებდა თავს დამნაშავედ და ამბობდა, რომ ის იყო დაზარალებული, ხოლო ავტომანქანა „სუბარუ“, რომელზეც მოხდა შეჯახება (სადაც იყო მსხვერპლი ორი წევევამდელი 19 წლის ახალგაზრდა, რომელთაგან ერთი ადგილზე დაიღუპა და მეორე სასწრაფო დახმარების მანქანაში) იყო მარჯვენასაჭიანი, მხედველობა შეზღუდული ჰქონდა მძღოლს და მისი ბრალეულობით მოხდა შეჯახება.
- 2.6 ადვოკატის განმარტებით, როდესაც ის ჩაერთო საქმის წარმოებაში, შემთხვევევის ადგილის ნახაზი შედგენილი იყო, ნიმუშები აღებული, ექსპერტიზები კი დანიშნული. მან ლ. წ.-ს განუმარტა, რომ თუ რომელიმე ექსპერტის დასკვნა იქნებოდა მისთვის საეჭვო ან მიუღებელი გახდებოდა, უფლება ჰქონდათ დამოუკიდებლად დაენიშნათ ექსპერტიზა და დაესვათ მათთვის მნიშვნელოვანი კითხვები.
- 2.7 ადვოკატის განმარტებით, გამოძიების პროცესში მტკიცებულებების ერთობლიობით და არამარტო ექსპერტიზის დასკვნით დადგინდა მთელი რიგი დამამდიმებელი გარემოებები, კერძოდ: ლ. წ. იყო ნასამართლევი მძიმე დანაშაულისათვის (ყაჩაღობა) და სასჯელად განსაზღვრული ჰქონდა 10 (ათი) წელი თავისუფლების აღკვეთა, რომელიც სრულად მოიხადა სასჯელადსრულების დაწესებულებაში და ახლა განთავისუფლებული იყო. ავტოსაგზაო შემთხვევის მომენტში მოძრაობდა 110 კმ სიჩქარით და შეჯახების მომენტში გადიოდა „აბგონზე“ დაახლოებით 115-120 კმ, გარდა ამისა ექსპერტიზის დასკვნით დადგენილ იქნა, რომ ავტოსაგზაო შემთხვევის დროს საჭეს მართავდა მთვრალ მდგომარეობაში.
- 2.8 ადვოკატის განმარტებით, ლ. წ.-სთან შეთანხმებით, გამოძიების პარალელურად, როცა უკვე გამოიკვეთა მისი დანაშაული ავტოსაგზაო შემთხვევის პროცესში საპროცესო შეთანხმების მიზნით აწარმოებდა მოლაპარაკებას ზედამხედველ პროკურორთან, რომელიც არ იყო წინააღმდეგი მასთან გაეფორმებინა საპროცესო გარიგება, მხოლოდ დაზარალებულ მხარეებთან მოლაპარაკების შემდეგ.
- 2.9 ადვოკატის განმარტებით, ავტოსაგზაო შემთხვევას შეეწირა ორი 19 წლის ახალგაზრდა, შესაბამისად მისთვის მძიმე იყო დაზარალებულ პირებთან მოლაპარაკება. რის გამოც ლ. წ.-ს ურჩია ჩაერთო ახლობლები დაზარალებულ მხარეებთან მოსალაპარაკებლად. ლ. წ.-მ რჩევა არ გაითვალისწინა და ადვოკატთან შეთანხმების გარეშე ეწვია დაზარალებულის ოჯახს, სადაც კინაღამ ახალი ტრაგედია არ დატრიალდა. დაზარალებულები კატეგორიულები აღმოჩნდნენ და არავითარ მოლაპარაკებაზე არ წამოვიდნენ.
- 2.10 ადვოკატის განმარტებით, მის მიერ გამოთხოვილ და წარდგენილ იქნა დანაშაულის შემამსუბუქებელი მტკიცებულებები, კერძოდ: ლ. წ.-ის ჯანმრთელობის მდგომარეობის ცნობა ფორმა 100; ოჯახური მდგომარების შესახებ; ნათესავების მხრიდან დადებითი დახასიათება; ავტოსაგზაო შემთხვევიდან 5-6 თვის განმავლობაში ლ. წ. იმყოფებოდა აღკვეთის ღონისძიების გარეშე, რაც ადვოკატის აზრით მისი დამსახურებაა.

- 2.11 ადვოკატის განმარტებით, იგი ლ. წ.-ის დაცვას ახორციელებდა 2014-2015 წწ. მხოლოდ გამოძიების პროცესში. ლ. წ.-ის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი დადგა 2015 წლის ნოემბერში. ადვოკატმა დროულად განუმარტა ლ. წ.-ს, რომ აღტერნატიული ექსპერტიზის დანიშვნის უფლება ჰქონდა. აღნიშნულზე კლიენტმა თავი შეიკავა. დისციპლინურ საქმეში საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი დამოუკიდებელი ექსპერტიზის დასკვნა გადაცემულია 2017 წლის თებერვალში და გაურკვეველი მიზეზით ლ. წ.-ს ახლა წარმოეშვა ადვოკატის მიმართ პრეტენზია. რაც შეეხება პროკურატურის წერილს, რომელზეც ბატონი ლ. წ. აპელირებს, თითქოს და პროკურატურა უთითებს ადვოკატის არაპროფესიონალიზმზე, რაც არ არის მართებული, წერილში მითითებულია: „თითქოს და დაირღვა სსსკ 83-ე მუხლის მოთხოვნა - მასალათა გადაცემის კუთხით. შეგახსენებთ, რომ საქმეზე გამოძიების მიერ ორჯერ მოხდა ინფორმაციის გაცვლა დაცვის მხარესთან, რა დროსაც მასალის გადმოცემა დაადასტურეთ არამარტო თქვენ, არამედ თქვენი ინტერესების დამცველმა ადვოკატმა მ. ლ.-მ და მეორე შემთხვევაში ი. უ.-მა“. ადვოკატის განმარტებით, ბრალდების მხარემ მტკიცებულებები ჩააბარა თავად ბრალდებულს და ამ გაცვლის პროცესს დაესწრო ადვოკატი მ. ლ.-ც, რაც წერილობით დაადასტურა. მასალათა მეორედ გაცვლას ადვოკატი მ. ლ. არ დასწრებია, ამ დროს ბრალდებულს სხვა ადვოკატი ჰყავდა.
- 2.12 ადვოკატის განმარტებით, მან პირველად საჩივრიდან შეიტყო, რომ კლიენტს მის მიმართ ჰქონდა პრეტენზია ავტომობილის საჯარიმოდან გაყვანის გამო, ვინაიდან მომსახურების პროცესში ამ საკითხზე არ უსაუბრიათ.
- 2.13 ადვოკატის განმარტებით, ლ. წ.-ის დაცვას ახორციელებდა პროფესიონალურად, ჰქონდა თითქმის ყოველდღიური სატელეფონო ურთიერთობა, პირადად მიდიოდა საავადყოფოში და სახლში. ყოველ საკითხზე კვალიფიციურ კონსულტაციას უწევდა. ხშირად ურთიერთობდა გამოძიებასთან, ზედამხედველ პროკურორთან და ყოველთვის მოქმედებდა კლიენტის პოზიციიდან გამომდინარე. ლ. წ.-სთან გამოძიების შემდგომ თანამშრომლობა არ გაუგრძელებია, გამოძიების დასრულებისათვის მას ჰყავდა სხვა ადვოკატი.

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

- 3.1 ადვოკატი მ. ლ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №/ სპეციალიზაცია - საერთო.
- 3.2 ლ. წ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2019 წლის 24 იანვარს.
- 3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2014-2015 წლებში. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე დაცულია საჩივრის შემოტანის ვადა – 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა:

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ მ. ლ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების“ 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღმვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

- 5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზიები ადვოკატ მ. ლ.-ის მიმართ გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა ვერ შეამჩნია საქმის გამოძიების პროცესში მტკიცებულებების ფალსიფიკაცია და განადგურება, კერძოდ: ავტომანქანა „სუბარუ ფორესტერი“ სახ.# საჯარიმოდან გაყვანა და განადგურება, ასევე გზის გეგმის (რომელზეც მოხდა ავარია) ფალსიფიკაცია, რაც დაადასტურა დამოუკიდებელმა საექსპერტო კრიმინალისტიკურმა ბიურომ 2017 წლის 23 თებერვალს.
- 5.2 ეთივის კომისიამ იმსჯელა ადვოკატ მ. ლ.-ს მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:
- ა) აპეკ-ის მე-8.5 მუხლი: „ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა.“
- ბ) აპეკ-ის მე-8.2 მუხლი: „ადვოკატმა საქმე უნდა აწარმოოს კლიენტის, მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის ან შესაბამისი ორგანოს მიერ დანიშნული კომპეტენტური პირის მითითებით, სავალდებულო დაცვის შემთხვევაში.“
- გ) აპეკ-ის მე-8.6 მუხლი: „ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობის ... შესახებ.“
- 5.3 ადვოკატის მხრიდან კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად წარმომადგენლობა გამოიხატება კლიენტის ინტერესების დასაცავად ყველა შესაძლო საშუალების გამოყენებაში. ადვოკატმა უნდა უზრუნველყოს იმ საპროცესო მოქმედებათა შესრულება, რაც დასაშვებია კანონმდებლობით.
- 5.4 ადვოკატის მიერ მომსახურების კეთილსინდისიერად გაწევის ვალდებულება არის სტაბილური სამოქალაქო ბრუნვის ერთ-ერთი ძირეული ნორმატიული პრინციპის - კეთილსინდისიერების ვალდებულების (სსკ 8.3 მუხლი), რომელიც ამავდროულად სუბიექტური შემადგენელის მატარებელია, კერძო გამოხატულება. დადგენილი სასამართლო პრაქტიკის შესაბამისად, სამართალში არსებობს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა კეთილსინდისიერების პრეზუმფცია (სუსგ №ას-589-2019 პარ. 28, შეადარეთ ასევე სუსგ: ას-899-1185-09, ას-1252-1181-2012; ას-23-23-2016). ეთივის კომისიის აზრით აღნიშნული პრეზუმფცია სრულად გამოსაყენებელია ადვოკატის პროფესიულ საქმიანობის შეფასებისას: „საწინააღმდეგოს დამტკიცებამდე ივარაუდება, რომ ადვოკატი კეთილსინდისიერად ასრულებს ხელშეკრულებით და პროფესიული წესებით დაკისრებულ მოვალეობებს, ეს განსაკუთრებით ნათელია იმ როლის გათვალისწინებით, რომელიც ადვოკატს და ადვოკატის პროფესიას აქვს მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში.“ (N089/17, პარ. 6.3.8).
- 5.5 „ადვოკატი განსაზღვრავს პროფესიული საქმიანობისას სტრატეგიას, იურიდიულ მოქმედებათა სახეებს, რჩევის ტენდენციასა და მტკიცებულებათა შერჩევას, მათი რელევანტურობის კუთხით კლიენტის ინტერესებისათვის. კლიენტს სრული უფლება აქვს გამოხატოს ეჭვი, პრეტენზია ადვოკატის მოქმედებათა ტენდენციაზე, მტკიცებულებათა შერჩევის სისწორეზე, თუმცა ადვოკატის როლი სწორედ მის კომპეტენტურობაშია და როგორც წესი იგულისხმება, რომ

ადვოკატი - როგორც სპეციალისტი, შეარჩევს კლიენტის ინტერესებისათვის მომგებიან იურიდიულ მხარეს.“ (ეთივის კომისიის 2015 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე 062/15, პარ. 5.8).

- 5.6 შედეგად, იმ ფაქტებზე მითითება და მტკიცებულებების წარმოდგენა, რომ ადვოკატი არაკეთილსინდისიერად მოქმედებდა, თუნდაც საპროცესო ეტაპისთვის საჭირო დასაბუთებული ვარაუდის შესაქმნელად, განმცხადებელზეა. კეთილსინდისიერად მოქმედების ვარაუდი ქარწყლდება, თუ წარმოიშვება საფუძვლიანი ეჭვი, რომ ადვოკატი არ იყო დამოუკიდებელი, ჰქონდა ინტერესთა კონფლიქტი ან არსებობდა ამ კონფლიქტის წარმოშობის არსებითი საფრთხე, და სხვა შემთხვევაში, როდესაც კითხვის ნიშნის ქვეშ დგება ადვოკატის მიერ დამოუკიდებელი იურიდიული რჩევის გაცემის შესაძლებლობა.
- 5.7 ადვოკატების მიერ კვალიფიციური იურიდიული მომსახურების ფარგლებში განხორციელებული თითოეული მოქმედება წარმოადგენს სამართლებრივი სტრატეგიის ნაწილს. ის დაკავშირებულია ადვოკატის თავისუფალი პროფესიის შედეგთან, რომელიც ეფუძნება მის პროფესიულ გამოცდილებას და კვალიფიკაციას. გაწეული იურიდიული მომსახურების სრულფასოვანი შეფასებისთვის საჭირო იქნებოდა ეთივის კომისიის მიერ ადვოკატის მიერ საქმის წარმოების მიზნით განხორციელებული თითოეული მოქმედების ხარისხის შეფასება, რისი უფლებამოსილებაც ეთივის კომისიას არ გააჩნია. ადვოკატის პროფესიის დამოუკიდებლობიდან გამომდინარე ეთივის კომისიის კომპეტენციაში არ შედის ადვოკატის მიერ განხორციელებული საპროცესო ქმედებების და ტაქტიკის არსებითი სამართლებრივი შეფასება. კოლეგია ვერ მიუთითებს ადვოკატს რომელი საპროცესო მოქმედების განხორციელება იქნებოდა კლიენტის ინტერესებისთვის უკეთესი, როგორ შეიძლებოდა უკეთ დასაბუთებულიყო საპროცესო დოკუმენტი ან სამართლებრივი დასკვნა, და რა სავარაუდო გავლენას იქონიებდა აღნიშნული საქმის მიმდინარეობასა და შედეგზე. ეთივის კომისია ვერ შევა სასამართლოს კომპეტენციაში, რომელსაც შეუძლია წარმომადგენლობით წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების ვალდებულების ადვოკატისთვის დაკისრება (სსკ 712, 719 და სხვა მუხლები).
- 5.8 ადვოკატი, როგორც თავისუფალი და დამოუკიდებელი პროფესიის წარმომადგენელი, დაცულია გარკვეულ ფარგლებში იმისათვის, რომ მისი პროფესიული დამოუკიდებლობა იყოს შენარჩუნებული, მათ შორის ეთივის კომისიის მიერ მისი ქცევის შესწავლის დროსაც. ერთის მხრივ, მოცემული დამოუკიდებლობის დაცვისთვის კომისია არ არის უფლებამოსილი შეაფასოს ადვოკატის მიერ გაწეული მომსახურების ხარისხი, სტრატეგია და მეორეს მხრივ, პროფესიის დაცვისა და კლიენტის ინტერესებისთვის, კომისია უფლებამოსილია შეისწავლოს ადვოკატის ურთიერთობა კლიენტთან, რამდენად აწვდიდა მას ინფორმაციას, იღებდა თუ არა კლიენტისგან შემდეგ მოქმედებებზე თანხმობა და გამოხატავდა თუ არა მის ნებას. პროფესიული ეთივა ავალდებულებს ადვოკატს საქმის წარმოების მიზნით შემუშავებული სტრატეგია და საპროცესო მოქმედებები შეუთანხმოს კლიენტს, რაც უკავშირდება საქმის მსვლელობის მნიშვნელოვან დეტალებსა და მოსალოდნელ შედეგებზე, კლიენტის ინფორმირების ვალდებულებას. არაინფორმირებული კლიენტი ვერ მიიღებს გათვითცნობიერებულ გადაწყვეტილებას მის

საქმესთან დაკავშირებით, შედეგად ის ვერ იქნება ეფექტიანად ჩართული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ეთივის კომისიამ 2011 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილებით დისციპლინურ საქმეზე №074/10 კლიენტისათვის საქმის მიმდინარეობის თაობაზე ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებასთან დაკავშირებით განმარტა, რომ „ადვოკატმა საქმის წარმოებისას კლიენტს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მისი საქმის მიმდინარეობის თაობაზე, რაც მოიცავს სრული ინფორმაციის დროულად მიწოდებას. კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდება საშუალებას აძლევს მას, რომ ჩართული იყოს საქმის მსვლელობის პროცესში. კლიენტის მიერ ადვოკატისათვის რწმუნებულებით უფლებამოსილების მინიჭების მიუხედავად, ადვოკატი ვალდებულია კლიენტთან შეათანხმოს საქმისწარმოებისას მის მიერ განსახორციელებელი მოქმედებები. კლიენტს საშუალება უნდა ჰქონდეს თავადაც დაუკავშირდეს ადვოკატს და ადვოკატი არ უნდა უზღუდავდეს კლიენტს მასთან დაკავშირების შესაძლებლობას საქმის მიმდინარეობისა და შედეგების თაობაზე ინფორმაციის მისაღებად.“

- 5.9 შესაბამისად, საპროცესო კოლეგია ვერ შეაფასებს ადვოკატ მ. ლ.-ის მიერ გაწეული იურიდიული მომსახურების ხარისხს, რაზეც დაყენებული პრეტენზიების შინაარსიდან გამომდინარე დაობს ადვოკატ მ. ლ.-ის ყოფილი კლიენტი, ლ. წ.. ეთივის კომისიამ უნდა გაარკვიოს ფლობდა თუ არა კლიენტი ადვოკატის მიერ განხორციელებული სამართლებრივი ქმედებების თაობაზე სრულყოფილ ინფორმაციას და ადვოკატი მ. ლ. რამდენად მოქმედებდა კლიენტის მითითებების გათვალისწინებით დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით.
- 5.10 დისციპლინური საქმის მასალებით, საპროცესო კოლეგია ადგენს, რომ ლ. წ.-ის მეუღლეს, ნ. ბ.-სა და ადვოკატ მ. ლ.-ს შორის საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება N ლ. წ.-ის (მოწმის სტატუსი) დაცვის მიზნით სისხლის სამართლის საქმეზე გათვალისწინებული სსკ-ის 276-ე მუხლით, დაიდო 2014 წლის 17 დეკემბერს. ხელშეკრულების 3.2 პუნქტით, საადვოკატო მომსახურება მოიცავდა ლ. წ.-ის დაცვის მიზნით წარმომადგენლობას შს სამინისტროს საპატრულო პოლიციის განყოფილებაში გამოძიების პროცესში შესაბამისი საპროცესო მოქმედებების განხორციელებას. იმ შემთხვევაში თუ ლ. წ.-ს პროცესუალური სტატუსი შეცვლებოდა, მხარეები დააზუსტებდნენ ხელშეკრულების პირობებს. ლ. წ.-ის პროცესუალური სტატუსის ცვლილების გამო 2015 წლის 28 იანვარს მასსა და ადვოკატ მ. ლ.-ს შორის თავიდან დაიდო საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება N, რომლის მიხედვით ადვოკატმა აიღო ვალდებულება კვლავ მხოლოდ გამოძიების პროცესში დაეცვა ლ. წ.-ის ინტერესები.
- 5.11 დისციპლინური საქმის წარმოებისას წარმოდგენილი მხარეთა პოზიციებით, ადვოკატ-კლიენტს შორის ურთიერთობა მიმდინარეობდა 2014-2015 წლებში.
- 5.12 საპროცესო კოლეგია ადვოკატის მ. ლ.-ის პიზიციით და საქმის მასალებით ადგენს, რომ როდესაც ის ჩაერთო საქმის წარმოებაში, შემთხვევების ადგილის ნახაზი შედგენილი იყო, ნიმუშები აღებული, ექსპერტიზები კი დანიშნული. ადვოკატის განმარტებით, მან გაუწია შეთანხმებული მომსახურება ლ. წ.-ს სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების პროცესში. ადვოკატის მიერ განხორციელებულია შემდეგი მოქმედებები:

- კლიენტთან შეხვედრები სამართლებრივი კონსულტაციის გაწევის მიზნით. კლიენტის სახლში მკურნალობის გამო ადვოკატი ხშირად მიდიოდა მასთან და ყოველ ქმედებას ათანხმებდა. ჰქონდა კლიენტთან აქტიური სატელეფონო კომუნიკაცია.
 - მოლაპარაკების წარმოება გამომძიებელ რ. ა.-თან, რის საფუძველზეც პროცურატურამ მოხსნა საპატრულო პოლიციის მორიგეობა ლ. წ.-ის პალატიდან. ადვოკატის განმარტებით, სწორად ამ მოლაპარაკების მიზეზით არ შეეფარდა მის კლიენტს აღვეთის ღონისძიებად პატიმრობა და თავისუფალი იყო დეკემბრიდან მაისამდე.
 - მოიპოვა და წარუდგინა პროცურატურას, კლიენტისათვის წარდგენილი ბრალის შემამსუბუქებელი მტკიცებულებები, კერძოდ: ჯანმთელობის მდგომარეობის ფორმა 100; ოჯახური მდგომარეობის შეფასება; დადებითი დახასიათებები.
- 5.13 საპროცესო კოლეგია მხარეთა პოზიციებზე დაყრდნობით, არ იზიარებს ლ. წ.-ის პოზიციას იმის შესახებ, რომ ადვოკატმა ვერ შეამჩნია გზის გეგმის (რომელზეც მოხდა ავტოსაგზაო შემთხვევა) არასწორად შედგენა, რაც დაადასტურა დამოუკიდებელმა საექსპერტო კრიმინალისტიკურმა ბიურომ 2017 წლის 23 თებერვალს შემდეგი გარემოებების გამო: 2014 წლის 14 დეკემბერს სს N საქმეზე საქართველოს შს სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქ. თბილისის მთავარი სამართველოს საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა საგამოძიებო სამსახურის გამომძიებელმა შეადგინა შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი, სადაც აღწერა შემთხვევის ადგილის მდებარეობა და გზის პარამეტრები. ადვოკატმა მ. ლ.-მ კლიენტს განუმარტა, რომ მას უფლება ჰქონდა მოეთხოვა და ჩაეტარებინა ალტერნატიული ექსპერტიზა, თუმცა კლიენტმა მისი მომსახურების პერიოდში უარი განაცხადა აღნიშნულზე. შესაბამისად, კლიენტი ინფორმირებული იყო სამართლებრივად რა მოქმედების განხორციელება შეეძლოთ და გადაწყვეტილება მოქმედების განხორციელებაზე მას უნდა მიეღო. ადვოკატს კლიენტის მხრიდან მომსახურების პროცესში დავალება არ მიუღია ალტერნატიული ექსპერტიზის დანიშვნის მოთხოვნით. გამოძიების დასრულებისას, ლ. წ.-ის ინტერესებს ადვოკატი მ. ლ. აღარ იცავდა.
- 5.14 საპროცესო კოლეგია მხარეთა პოზიციებზე დაყრდნობით, ვერ იზიარებს ლ. წ.-ის პოზიციას იმის შესახებ, რომ საქმის მთავარი ნივთიერი მტკიცებულება ავტომობილი „სუბარუ“ ფორესტერი“ სახელმწიფო ნომრით N, რომელშიც ორი მსხვერპლი იმყოფებოდა, აღნიშნული ავტომობილი გაიყვანეს საჯარიმოდან და გაანადგურეს, საქმეში არ იყო შემთხვევის ამსახველი ფოტოები, სქემები და აღნიშნულზე ადვოკატმა არაფერი მოიმოქმედა. ადვოკატმა განმარტა, რომ მისთვის ავტომობილის საჯარიმოდან გაყვანის ფაქტი მომსახურების პერიოდში ცნობილი არ ყოფილა და მხოლოდ საჩივრიდან შეიტყო აღნიშნული გარემოება, კლიენტს არასდროს უსაუბრია მასთან მოცემულ საკითხზე. შესაბამისად, კოლეგიას არ წარმოეშვა დასაბუთებული ვარაუდი, რომ ეს გარემოება იცოდა ადვოკატმა და არ მოუხდენია სამართლებრივი რეაგირება.
- 5.15 საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ არ არსებობს საკმარისი ვარაუდი ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე და შესაბამისად, ადვოკატ მ. ლ.-ს მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა.

5.16 ეთივის კომისიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ 30-ე მუხლის პირველი პუნქტით, 40-ე მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №008/19 ადვოკატ მ. ლ.-ს მიმართ /სიითი №/ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე:

/ია გაბედავა/

კოლეგიის წევრი:

/არჩილ ჩოფიკაშვილი/

კოლეგიის წევრი:

/ბესარიონ ბოხაშვილი/